

დიალექტურ მეტყველებაში გამოყენებული იუმორის თარგმნის  
პრობლემა ლიტერატურულ ტექსტში (ნოდარ დუმბაძის რომანის „მე,  
ბებია, ილიკო და ილარიონის“ ინგლისური თარგმანის მიხედვით)

მეგი კობაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის*

*მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,  
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მეგი კობაიძე 2019 წელი, 25 ივნისი.

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება იუმორს და იმ გამოწვევებს, რომლებიც მის თარგმანთან ასოცირდება. იუმორის მჭიდრო კავშირი კულტურასთან მისი თარგმნის სირთულეს განაპირობებს.

კვლევის მიზანია დიალექტურ მეტყველებაში გამოყენებული ვერბალური იუმორის თავისებურებებზე დაკვირვება და იმ სტრატეგიების გამოყოფა, რომლებიც ორიენტირებულია იუმორის ეფექტის შენარჩუნებაზე.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია, ერთი მხრივ, იუმორის კომპლექსური ხასიათით და მისი თარგმანის სირთულით. მეორე მხრივ, თარგმანმცოდნეობითი პერსპექტივიდან ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში გამოყენებული იუმორის თარგმნის პრობლემა.

ნაშრომში განხილულია იუმორის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის მნიშვნელობა სხვადასხვა პერსპექტივად, თარგმანის თეორიების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. ცალკე არის გაანალიზებული იუმორის და დიალექტის თარგმნადობა - უთარგმნელობის პრობლემა და სხვადასხვა მკვლევრის მიერ აღნიშნული ენობრივი ერთეულების თარგმნის სტრატეგიები.

კვლევა დესკრიფციული ხასიათისაა და წარმართულია ნოდარ დუმბაძის ტექსტის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ორიგინალისა და ინგლისური ტექსტის შეპირისპირებით ანალიზზე. ნაწარმოები შერჩეულია მასში გამოყენებული იუმორისა და დიალექტის მახასიათებლების სიმრავლის გამო. შეპირისპირებითი ანალიზი მოიცავს რამდენიმე მაგალითის ანალიზს. იუმორის მაგალითები სრული რაოდენობით მოცემულია დანართში. კვლევა დამყარებულია მარტა მატეოს მიერ შემუშავებულ სტრატეგიებზე. კვლევამ აჩვენა, რომ მატეოს მიერ გამოყოფილი სტრატეგიებიდან იუმორის თარგმნისას გამოყენებულია: პირდაპირი თარგმანი, ეკვივალენტური თარგმანი, იუმორი გაძლიერებულია რაიმე ფრაზით ან გამონათქვამით, იუმორის სამიზნე ენის ზედაპირზე ჩნდება ან სქოლიოში ჩამოდის ან იუმორი საერთოდ ამოშლილია. მატეოს სტრატეგიები დაკავშირებულია იუჟინ

ნაიდას „ფორმალური“ და „დინამიკური“ ეკვივალენტობის სტრატეგიებთან. ნაშრომში გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებმაც სავარაუდოდ განაპირობა მთარგმნელის არჩევანი.

საკვანძო სიტყვები: იუმორი, დიალექტი, სტრატეგიები.

# **Translating humour and dialect in character speeches (according to the English translation of Nodar Dumbadze's novel "Granny, Iliko, Illarion and I")**

## **Abstract**

The present thesis deals with humour and the challenges associated with its translation. It provides evidence for the hypothesis that humour translation is very difficult to deal with due to its complexity as it is closely connected with culture.

The aim of this paper is to outline peculiarities of verbal humor used in dialectic speech and identify the strategies that are focused on maintaining the humor effect.

The relevance of the paper is defined by complexity of humour translation and the lack of research on rendering verbal humour marked by local dialect from English into Georgian. The research is focused on the humour used in literary texts.

The present study investigates humour as a socio-cultural phenomenon from the different perspectives. It also focuses on formation and development of translation studies. The issues about humour translatability and untranslatability are also discussed. The study identifies strategies proposed by different researchers in rendering humour and dialect.

The research focuses on descriptive translation studies and provides comparative analysis of the original and the English translation of Nodar Dumbadze's "Granny, Iliko, Illarion and I". The text has been selected because of the abundant use of humor and dialect. In the comparative analysis several examples have been identified and compared with their English translations. All the examples of verbal humour are given in an appendix. The analysis is based on the strategies proposed by Marta Mateo for translating verbal humour. Based on the comparative analysis the findings show that the translator uses different strategies for humor translation. The translator uses literally or equivalent translation. The strategies also include enhanced translation by word or expression, the hidden meaning of humour that comes to

the surface, footnotes, and deleted humour. In accordance with Mateo's strategies "formal" and "dynamic" equivalence by Eugene Nida were also taken into consideration. The paper also examines the analysis of possible choices made by the translator.

Keywords: humour, dialect, translation strategies.